ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

განკარგულება:**გ-41. 4123241001**
თარიღი:**29/08/2023**

საგზაო მოძრაობის ორგანიზების თაობაზე

ქალაქ სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულში, აკაკი წერეთლის ქუჩაზე, ცოტნე დადიანის ქუჩიდან რუსთაველის ქუჩამდე, გადატვირთული საგზაო მოძრაობის უკეთ მოწესრიგების უზრუნველსაყოფად აუცილებლობას წარმოადგენს კონკრეტული საგზაო ნიშნის დამონტაჟება.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი "მე-16 მუხლის მეორე ნაწილის ,,კ" პუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების შესაბამისად,

1. ქ. სენაკში, აკაკი წერეთლის ქუჩაზე, ცოტნე დადიანის ქუჩიდან შოთა რუსთაველის ქუჩამდე, მარცხენა მხარეს მოეწყოს შემდეგი საგზაო ნიშანი:
ა) საგზაო ნიშანი 3.28 ,,დგომა აკრძალულია" - 2 ცალი.
2. გამოცემული განკარგულების შესახებ ეცნობოს: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას; შ ს. ს. საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის მთავარ სამმართველოს.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სენაკი,შ რუსთაველის ქ. №247).

საბა ოდიშარია

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქ.სენაკი,4100 შ.რუსთაველის ქ.№243 243, Sh.Rustaveli Str., Senaki, Georgia ტელ: 0413 27 60 60, 27 50 16 ელ-ფოსტა: sakrebulo.senaki@gmail.com ვებ: www.senaki-sakrebulo.gov.ge